გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

მეწარმე ქალთა მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება

2. **თემატიკა:**
   - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმე ქალთა ფინანსური მხარდაჭერა

   (გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია მოიცავს 825 კვ.კმ-ს, საიდანაც ტყის ფართობს დაახლოებით 65% შეადგენს. ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მუნიციპალიტეტი თბილისიდან დაშორებულია 296 კმ–ით, ხოლო უახლოესი სარკინიგზო კვანძიდან (საჯავახო) – 20 კმ–ით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სამტრედია-ქობულეთი 25 კმ-იანი მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის 3 სოფელი და 1 დაბა შედის მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში, სადაც მოქმედებს მთის კანონი. ეს დასახლებებია: სოფელი ჩხაკაურა, ქვაბღა, ზოტი და დაბა ბახმარო.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - ადამიანური რესურსი შესაბამისი კვალიფიკაციით არსებობს, ტექნიკური შესაძლებლობები დამაკმაყოფილებელია, რაც შეეხება ფინანსურ რესურს, პირველ ეტაპზე გაცილებით მწირი იყო და ყოველწლიურად იზრდება.

გარე ფაქტორები - მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. მოსახლეობა განსაკუთრებით ჩართულია შემდეგ საქმიანობებში: მეხილეობა, მემარცვლეობა (სიმინდის მოყვანა), მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა.
მუნიციპალური მიწის მთლიანი ფართობი 82509 ჰა. აქედან დაახლოებით 21% (17326 ჰა) შეადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. 11847 ჰა გამოიყენება სათიბ-საძოვრად. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების 43% (7458 ჰა) კერძო საკუთრებაა, დანარჩენი (9886 ჰა) კი სახელმწიფო კუთვნილებაა. სახნავი მიწა შეადგენს 2764 ჰა. მრავალწლიან კულტურებს უკავია 4084 ჰა, ხოლო

2532 ჰა ერთწლიანი კულტურებისათვისაა განკუთვნილი.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ნიშის დაკავება შეუძლია მეღვინეობის სექტორში. მართალია დარგში წარმოებული პროდუქტის რაოდენობით ვერ იქნება გამორჩეული, თუმცა აქ არსებული ენდემური ვაზის ჯიშები, მაგალითად ჩხავერი, ჯანი, სხილათობანი, ცოლიკაური, ალადასტური და სხვა, იძლევა შესაძლებლობას იწარმოოს მაღალი ხარისხის და საკუთარი, გამორჩეული ნიშის ღვინო. მუნიციპალიტეტში დღეს 10-მდე მარანია, რომელთა განვითარება და შენარჩუნებაც მნიშვნელოვანია.

- **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ამ საკითხთან მიმართებაში არ არსებობს თანმიმდევრული პოლიტიკა და ამ საკითხის მოგვარების თვალსაზრისით ბევრი გამოწვევაა, მათ შორის ფინანსურ რესურსებზე ქალთა შეზღუდული წვდომა, ეკონომიკური ძალადობის უჩინარი ხასიათი, ქალთა აქტივობის დაბალი მაჩვენებელი, შრომა ოჯახში, რომელიც არ არის ანაზღაურებადი და ძირითადად ვალდებულებად აღიქმება. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება პირდაპირ არის დაკავშირებული გენდერული უთანასწორობის და მისი ყველაზე სერიოზული შედეგის - ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევასთან. ნაადრევი ქორწინების, ფინანსური დამოუკიდებლობის არქონის, საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების, მხარდამჭერთა ქსელის არ არსებობის გამო ქალებს უწევთ მოძალადესთან ერთად ცხოვრება და ძალადობის ატანა. განსაკუთრებული თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ სოფლად მცხოვრებ ქალებს, ისინი ყველაზე მეტად განიცდიან სერვისებთან წვდომის ნაკლებობას, პრობლემაა ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. თემებში საინფორმაციო შეხვედრების დროს, რომელიც ეხებოდა გენდერულ თანასწორობას და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმირებას, ხშირად იკვეთებოდა ძალადობის, როგორც დანაშაულის იდენტიფიცირების პრობლემა და უხილავი ძალადობრივი ქმედებები მათთვის ნორმა იყო. გულისტკივილს გამოთქვამდენენ ისეთი პროგრამების არ არსებობის გამო, რაც ხელს შეუწყობდა მათ ეკონომიკურ განვითარებას და ფინანსურ დამოუკიდებლობას.

აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს. ზემო აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში ხორციელდება გენდერული თანაწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა. რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს დამწყებ ქალ მეწარმეებს განავითარონ საკუთარი მცირე ბიზნეს საქმიანობა და გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა, რაც გაზრდის მათი დამოუკიდებლობის და თავდაჯერებულობის ხარისხს.

პრიორიტეტულია თუ პროექტში გათვალისწინებულია სხვების, განსაკუთრებით ქალების.

- **გამოწვევა** - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, რომლის მიზეზიც კომპლექსურია : არასრული განათლება, სერვისების ნაკლებობა,

დონორი ორგანიზაციების არ არსებობა მუნიციპალიტეტში. არასაკმარისი დრო. საკუთარი შესაძლებლობების რწმენის არ ქონა და ნაკლები ინფორმირებულობა.

- **წარსული გამოცდილება** - აღნიშნული პროგრამის საჭიროება დაგვანახა სწორედ საინფორმაციო შეხვედრებმა, მუნიციპალიტეტში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო არაერთხელ შეხვედრია სხვადასხვა თემის ქალებს. ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI) თანამშრომლობით გენდერული თანასწორობის საბჭომ გადაამზადა მოდერატორები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა ფოკუს ჯგუფებში კვლევის ჩატარების მიზნით. კვლევის შედეგად მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, კონკრეტულად დამწყებ ქალ მეწარმეთა ხელშეწყობა. დასმული საკითხებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება და სოციალური დაცვის მუხლში გათვალისწინებულ იქნა პროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების შესახებ.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - აღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლა სამმა ბენეფიციარმა, მათ განავითარეს თავიანთი მცირე ბიზნესი და გაუჩნდათ დამატებითი შემოსავალი, ამ ბენეფიციარებიდან ორი მათგანი არის მარტოხელა დედა და ყველაზე მეტად მათთვის არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი აღნიშნული პროგრამა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება და ფართოვდება მათი საქმიანობა, რაც აისახება, როგორც მათ ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. ისინი გამოვიდნენ „სუსტი ქალის“ ჩარჩოებიდან გაცილებით უფრო დამოუკიდებლები აგრძელებენ ცხოვრებას.

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი** - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება. პრიორიტეტია დამწყები მეწარმეები.
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** - პროგრამა ასახულია მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის მუხლში, აქტივობები ხორციელდება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი:**

  პროგრამით სარგებლობისათვის ბენეფიციარმა უნდა წამოადგინოს :

  ა) წერილობითი მოთხოვნა დაფინანსებაზე/თანადაფინანსებაზე;

  ბ) პროექტი, რომლის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას ითხოვს განმცხადებელი. განცხადებები განიხილება კომისიური წესით და კომისიიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**
  რაც შეეხება სათემო ორგანიზაციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობას, ისინი ძირითადად პერიოდულად უზრუნველყოფენ მოწყვლადი ქალთა ჯგუფებისთვის სხვადასხვა მცირევადიანი საგანმანათლებლო კუსებში ჩართულობას.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი რესურსი.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  პროგრამის განხორციელების მიზნით შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქალებს არ აქვთ პროექტის წერის გამოცდილება და არ იციან როგორ დაწერონ პროექტი. ამიტომაც ხშირ შემთხვევებში გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ქალები ჩართული არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებში.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად ჩართულია საკრებულო და მერია.
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**
- ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს პროგრამის დანერგვასა და განხორციელებაში წარმოადგენს კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საკრებულოს და მერიას შორის.
  ინფორმაციის სწორად გავრცელება მოსახლეობაში, განსაკუთრებით ქალთა მოწყვლად ჯგუფებში.
- მოქალაქეთა, განსაკუთრებით ქალთა ჩართულობა

7. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

აღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლა სამმა ბენეფიციარმა, მათ განავითარეს თავიანთი მცირე ბიზნესი და გაუჩნდათ დამატებითი შემოსავალი, ამ ბენეფიციარებიდან ორი მათგანი არის მარტოხელა დედა და ყველაზე მეტად მათთვის არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი აღნიშნული პროგრამა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება და ფართოვდება მათი საქმიანობა, რაც აისახება, როგორც მათ ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, ასევე მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. ისინი გამოვიდნენ „სუსტი ქალის“ ჩარჩოებიდან გაცილებით უფრო დამოუკიდებლები აგრძელებენ ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ასაქმებენ სხვა ქალებსაც.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- პროგრამის დასანერგად საჭიროებების კვლევის ჩატარება.
- მოქნილი და ეფექტური პროგრამის შემუშავება და ბიუჯეტში ასახვა.
- პროგრამის ადვოკატირება
- მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირებულობა
- ბენეფიციართა მიერ პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები**
- ადამიანური და ფინანსური რესურსი ქონა
- შეთანხმებული მუშაობა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საკრებულოს და მერიას შორის.
- ქალთა ჩართულობის გაზრდა
- ქალთა საინიციატივო ჯგუფების აქტიურობა

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში; პროექტი გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში, ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- ინიციატივის წარდგენის დღიდან პროგრამის დანერგვაში ჩაერთო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ საკრებულოს და მერიის წარმომადგენლები. საკრებულოს ჩართულობით საბიუჯეტო წინადადების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა შესაბამისი პროგრამული კოდით დაფინანსება.
- ბიუჯეტი დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საკრებულომ
- საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი შედის იმ კომისიის შემადგენლობაში, რომლის რეკომენდაციის საფუძველზეც ხდება ბენეფიციართა დაფინანსება.
- მონიტორინგის ეტაპზეც საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წასრმომადგენელი ჩართულია სრულად.
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
  როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;

- ყველა ფრაქციამ, განურჩევლად უმრავლესობისა და ოპოზიციისა მხარი დაუჭირა აღნიშნულ პროგრამას.

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

აღნიშნული პროგრამის აუცილებლობა გვაჩვენა პრაქტიკამ, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს მოწყვლადი კატეგორიის გაძლიერებას და შესაძლებლობის ფარგლებში გაეწევათ შესაბამისი დახმარება. პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ასევე დონორების მოძიება. ქალთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა მათი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშესაწყობად.

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- მარინე ბერაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი. ტელ: 599 80 67 08. Beradze75@gmail.com
- ნინო კაპანაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. ტელ: 599 17 95 94 – ninia.kapo.1989@gmail.com.
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- მარინე ბერაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი. ტელ: 599 80 67 08. Beradze75@gmail.com
- ნინო კაპანაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. ტელ: 599 17 95 94 – ninia.kapo.1989@gmail.com.

12. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

- **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge